დანართი N1

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების დროებითი საკონკურსო კომისიის

დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტი/პროექტების გამოვლენას.

1.2. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

2.1 ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში ისეთი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და დასაქმებას.

2.2 „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება -გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2. განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3.3. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის.

4.დროებითი კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

4.1. დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

4.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

4.3. დროებითი კომისია შედგება 9 (ცხრა) წევრისაგან.

4.4. დროებითი კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

4.6. დროებითი კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4.7. დროებითი კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

4.8. დროებითი კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

4.9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დროებითი კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.10. დროებითი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს.

4.11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

4.12. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი